ხელშეკრულება №10/1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი, **22 თებერვალი, 2016 წელი**

ერთის მხრივ, **შპს „კოჯრის საექიმო ამბულატორია“** (შემდგომში – შემსყიდველი), მისი დირექტორის, ნინო კიკნაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა”** (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორის ავთანდილ იმედაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: **საკუთარი შემოსავლებით (cpv კოდი 85100000 – ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები- სამედიცინო-დიაგნოსტიკური გამოკვლევების მომსახურების შესყიდვის(რენტგენოლოგიური)** განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად /გამარტივებული შესყიდვის წესით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. რენტგენოლოგიური გამოკვლევების სამედიცინო მომსახურების შესყიდვა, რასაც ახორციელებს მიმწოდებელი შემსყიდველის მიმართვის საფუძველზე.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. სამედიცინო მომსახურების შესყიდვის ფასი განისაზღვრება ლარებში ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1 -ით მიხედვით.
3.2.შესყიდული სამედიცინო მომსახურების ჯამური სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **1000 ლარს (ერთიათასი).**
3.3.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადებს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა, სამუშაოს შესრულება ხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.
5.2. სამედიცინო მომსახურების მიწოდების ადგილია: **ქ.თბილისი, ვ.ფშაველას გამზირი №29.**
5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში შესრულებული სამუშაოს წარდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში.